საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28იანვარი, 2013 წელი

დადგენილება № 04-01 / 04

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განახლების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების 71-ე მუხლისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს განახლების მიზნით, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და მუსიკის ფაკულტეტებზე გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური საბჭოს წევრის 2 ვაკანსიაზე.

2. განცხადების მიღება იწარმოოს 2013 წლის 11 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 16 საათამდე.

3. არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის 22 თებერვალს.

4. არჩევნების ორგანიზება დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

5. დადგებილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე.მესხია**